

ძალადობა და ვიქტიმიზაცია ქუჩასთან დაკავშირებულ ბავშვებში

ნათია ლომთაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, MSW, PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლომთაძე ნათია

21.01.2020

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ეხება საქართველოში მცხოვრებ, ქუჩასთან დაკავშირებულ ბავშვებში ადრეულ ასაკში მიღებულ ტრავმულ გამოცდილებასა და მის კავშირს ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან და სექსუალურ ქცევასთან. კვლევაში გამოყენებულია ACE კითხვარის ადაპტირებული ვერსია, რომელიც ზომავდა 3 პიროვნულ და 2 ოჯახის წევრთან დაკავშირებულ ტრავმულ გამოცდილებას.

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ქალაქ თბილისისა და რუსთავის მაშტაბით მიუსაფარ ბავშვთათვის სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებში გამოიკითხა 80 ბენეფიციარი, მათი ასაკი 10-დან 19 წლამდე მერყეობდა, რომელთაგან 45 მამრობითი ხოლო 35 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა 61,25% ადრეულ ასაკში მიღებული აქვს მსგავსი გამოცდილება და არ არის დამოკიდებული რესპონდენტის სქესსა ($t=-.150$; $df=78$; $P=.617$) და ასაკზე ($t=-.350$ $df=78$; $P=.727$). კვლევამ დაადასტურა, რომ რაც უფრო მაღალია ტრავმის მაჩვენებელი მიუსაფარი ბავშვებში, მით უფრო იზრდება ალკოჰოლისა ($Kendall=.254$; $P<0.05$) და ნარკოტიკის მოხმარების რისკი ($Kendall=-.219$; $P<0.05$).

ძირითადი საძიებო სიტყვები: *ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვები; ადრეულ ასაკში მიღებული ტრავმული გამოცდილება; მედეგობა.*

ABSTRACT

The following paper is about adverse childhood experience among street connected youth in Georgia and its connection with age, gender, ethnicity, drug and alcohol abuse. In the research is used adapted version of ACE questioniar, 3 personal and 2 related to other family members' abuse.

In the research is used quantitative research methods. 80 beneficiaries were interviewed in servise provider organizations for street connected youth in Tbilisi and Rustavi, their age was from 10 to 19 years, 56.25% of respondents were male and 43.75% were female.

Research revealed, that 61.25 % had adverse childhood experience and it is not connected with gender ($t=-.150$; $df=78$; $P=.617$), age ($t=-.350$ $df=78$; $P=.727$) or ethnicity. Research approved, that children with higher ACE more likely to start using alcohol ($Kendall=.254$; $P<0.05$) and drag ($Kendall=-.219$; $P<0.05$) at early age.

Key Words: Street connected youth; Adverce Childhood Experience (ACE); Resilience.